



საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული
სააგენტოს
გენერალური დირექტორი

ბრძანება № 2/104

22 დეკ 2015წ.

ქ. თბილისი

კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით ღირებული
ობიექტებისათვის კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის
სტატუსის მინიჭების თაობაზე

საქართველოს უმნიშვნელოვანეს ისტორიულ-კულტურულ
ფასეულობათა სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, „საქართველოს
ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 51-ე, 52-ე, 53-ე მუხლების, „კულტურული
მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-3 პუნქტისა და
საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსა და
კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს შორის გაფორმებული 2014 წლის 8
აპრილის №1 ადმინისტრაციული ხელშეკრულების 1-ელი მუხლის 1-ელი პუნქტის „ა“
ქვეპუნქტის შესაბამისად,





ვბრძანებ:

1. მიენიჭოს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი ამ
ბრძანების დანართში მითითებულ ობიექტებს.
2. დაევალოს სააგენტოს იურიდიულ სამსახურს ამ ბრძანების ამოქმედებიდან ერთი თვის
ვადაში ბრძანების დანართში მითითებული ობიექტების მონაცემების კულტურისა და
ძეგლთა დაცვის სამინისტროს ინტერნეტგვერდზე ასახვის მიზნით შესაბამისი
ღონისძიების განხორციელება;
3. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ ოფიციალური
გაცნობიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის
სამინისტროში (მისამართი: ქ. თბილისი, სანაპიროს ქუჩა N4).

გენერალური დირექტორი

ნიკოლოზ ანთიძე

N	ფოტო	სახელწოდება	ადგილმდებარეობა	სახეობა
1		<p>საცხოვრებელი სახლი</p>	<p>ქ. ბორჯომი, მერაბ კოსტავას ქ. №29</p>	<p>არქიტექტურის, ქალაქთმშენებლობის</p>
2		<p>ილია წინამძღვრიშვილის სახელობის სასოფლო- სამეურნეო ტექნიკუმი</p>	<p>მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. წინამძღვრიანთკარი</p>	<p>არქიტექტურის, მემორიალური</p>
3		<p>წმ. ნიკოლოზის ეკლესია</p>	<p>ხარაგაულის მუნიციპალიტეტი, სოფ. მირონწმინდა, ეკლესია დგას სოფლის აღმოსავლეთ განაპირას, სასაფლაოზე</p>	<p>არქიტექტურის</p>
4		<p>ღვთისმშობლის ეკლესია</p>	<p>მცხეთა-მთიანეთის მხარე, მცხეთის მუნიციპალიტეტი, ცხვარიჭამის თემი, სოფ. კველიანი</p>	<p>არქიტექტურის</p>